

მშვენიერი პატრონები № 47


იუმორისტ.
ჟურნალი.

მეიბე საქმეები

F 644



— თქვენო აღმატებულებავ!
— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ
როცა მძიმე საქმე ხელთ მიპყრია მეოქი. გამოვწნავ კალათს და შემდეგ განმიგო-
რეთ თქვენი მოხსენება. ნუ მაცდენთ.



ბათონით წაიკითხოთ.

ქიზიყუი

მშვენიერი ქიზიყი ჩემი ხსოვნიდან არასოდეს ამოვა. გულში ჩაბრუნება არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველ საღამოსვე დამალვეინეს სამიოდ ხელადა ლალისფერი ღვინო და სრულიათ დამიკარგეს გრძნობა მეხსიერებისა; არ ამოვა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ვეცუკანი მე ქიზიყის დედოფალს, ანაგის მშვენებას—ღვთაებრივ თებროს.

თებრო მთელ ქიზიყს ენაზე აკერია!
 თებროს კი მთელი ქიზიყი ფეხებზე აკერია!
 თებრო ქიზიყის დედოფალია და ვიტყვი აშკა-
 რათ, დედოფალი ღირსეული.

მე ვერ წარმომიდგენია ქიზიყი თებროს ვარე-
 შე, და მით უმეტეს—თებრო ვარეშე ქიზიყისა.

თებრო ქიზიყის შვილია,—ქიზიყი თებროს სამ-
 შობლო აკენია.

მთელს კახეთში ორი პოპულიარული პიროვ-
 ნებაა: დავით ლუკაშვილი და თებრო. პირველი
 უფლობს ზემო კახეთს, მეორე კი ქვემოს.

ვინ არის თებრო?
 დიხს! მართლაც რომ საკითხავია, თუ ვინ არის
 თებრო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო ძნე-
 ლია, ვიდრე ქიზიყში სტუმრობის დროს ღვინის
 სპაზე უარის თქმა. მე რომ ბედნიერება მქონდეს და
 რუსი ვიყო, მაშინ ადვილათ ვიტყოდი ვინც არის
 ჩემი მომხიბვლელი ქანი თებრო.

თებრო „იერომონახია“. ისეთივე იერომონა-
 ხია, როგორც მავალითათ მარდარი, ილიდორე,
 ან უკეთ ესტკეათ რასპუტინი. განსხვავება მხოლოდ
 იმაშია, რომ თებრო ქალია, ისინი კი ვაყები არიან
 და არც თუ ურიგო ვაყები. იერომონახი ჩემის აზ-
 რით საშუალო ტიპია ერისკაცსა და სასულიეროს
 შორის. იგი არც ერია, არც ბერი.

თებროც სწორეთ ამ დარგის არსება. იგი არც
 სოფლის ქალია, არც მონაზონი, ის ნამდვილი „ი-
 რომონაშკა“ რასპუტინის ტიპისა.

ამიტომაც უყვარს თებრო მთელ ქიზიყს და
 ამიტომაც თავს ევლება მას ეს უწარჩინებულესი მხა-
 რე ჩემი სამშობლოსა.

ვატყვო თქვენ მიანც ვერ გაიგეთ, ვინ არის

თებრო, რომელმაც ასე მიიჯავა ჩემი ყურადღება
 და მიფიქრა კულტურული მრავალმხრივი მო-
 სიყვარულე გული. ვეცდები გვეცნობო.

სოფელ ანაგაში, იორამიანთ ღუქნის დასწვრივ,
 სწორეთ იქ, სადაც ანაგის მამასახლისის ბოქვების
 საკეთებელი სახელოსნო უდგია, იწყება რამოდენი-
 მე საყენის სიფართო რიყე. რიყე ქიზიყში სხვაც
 ბევრია, მაგრამ ამ რიყეს სხვა ვერ შეედრება; ვერ
 შეედრება, ვინაიდან მხოლოდ ამ რიყეს მიყვებით
 ჩვენ ქანი თებროს სავანეში.

როცა იმ შაბათ დღით, ქიზიყელ გლეხის ჩო-
 ხაში გამოწყობილი, ამ რიყეს შევუდგე, უნებ-
 ლიეთ აღსდგა ჩემს მესხიერებაში ძველათ გაგონილი
 ამბავი შესახებ ჯოჯოხეთისა და სამოთხედ მიმავალ
 გზათა სხვადასხვაობისა. ჩემი ძვირფასი მასწავლებე-
 ლი, მამა ონისიმე*) ყოველთვის გვეუბნებოდა:—
 შვილებო, ჯოჯოხეთისკენ ფართე და მშვენიერი
 გზა მიდის, სამოთხისაკენ კი ვიწრო და ეკლოვანი.
 სამაგიეროთ, როცა გზას გვიფიქროთ სასიცილო იქ
 მოგვუღებათ: ეკლოვან გზაზე მივალთ საუკუნო
 ბედნიერება, ხოლო ფართე, სიამოვნების გზით მო-
 გზაურთ კი საუკუნო ტანჯვა-წამებოთ.

გზა ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკლესიისკენ,
 თუმცა ფართე რიყეს მისდევს, მაგრამ ერთობ ძნე-
 ლი და მსხვილ ქვოვანია. რა ვუყოთ მერმე ზედ
 ეკლები რომ არ იყოს? სხვაფრივ პირდაპირ საშო-
 თხედ მიმავალია და არც მოსტყუებდება იქით წამ-
 სვლელი. ვერს ნახევარი, დიდი-დიდი ორი ვერსის
 მანძილზე გაგრძელდეს თქვენი ტანჯვა. მიადგებით
 მთის ძირზე მწვანე ხეებში აგებულ პატარა თეთრ
 ეკლესიას, რომლის ვიწრო ეზო მოფენილია ფარ-
 დულეთით.

აი აქ, ამ ძველის-ძველ მთავარ ანგელოზის
 ეკლესიაში სცხოვრობს ქანი თებრო ქიზიყისა, და
 მასთან ერთად სხვა უფრო დაბალი (ორისკენით) მკი-
 თხავეები და ქალწულეები.

ვისაც ეს ეკლესია არ უნახავს და არ მოუხმე-
 ნია ტუბილი წინასწარმეტყველური საუბარი ქალბა-
 ტონი თებროსი; დასასრულ, ვისაც საფუძვლიანათ
 არ შეუსწავლია კულტურული მუშაობა ამ მკით-
 ხათა სავანესი ქიზიყის სასარგებლოთ დიდის ენერ-

*) ის „ონისიმე“ არ გვგონათ, რომელიც ძველათ
 ჩემს ჟურნალში იგავებდა და შარადეს სწერდა.

გით წარმოებული, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს გრძნულ სიტყვებს ჩვენი დიდებული მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისა:

„მკითხაობა ჩვენ ცხოვრების უმთავრესი არის მზანი, ძველთაგან ხალხს შენახორცი თუ მოესპეთ დავილუპენით“.


არსად საქართველოში ასე განვითარებული არ არის მკითხაობა, როგორც კახეთში; არსად კახეთში ისე არ გაუშლია ფრთები მკითხავთა მოღვაწეობას, როგორც ქიზიყში და არსად ქიზიყში განვითარების იმ უმაღლეს წერტილამდე არ ასულა ეგ სანაქებო ხელობა, როგორც ს. ანავის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში. მართალია მას კონკურენციას უწევს რომელიღაც ზემოკახური წმინდა გიორგი, მაგრამ ამოდ, სად მთავარ-ანგელოზი ანავისა და სად წმინდა გიორგი!

ვიღრე მე თქვენ თებროს პიროვნებას არსებითად გაგაცნობდეთ, ვეცდები „მთავარ-ანგელოზის“ სავანე ავიწეროთ. პატარა ეკლესიის ეზო ორი თუ სამიოდ ტერასისაგან შესდგება. შუაგულში თვით ეკლესია აგებული, ეკლესიის ზემოთ გრძელი ფარდული, ხოლო დაბლა პატარა მოედანი და ქანი თებროს სადგამი. ეკლესიის გვერდითვე არის პატარა ქვის შენობა კურატებისათვის*).

საინტერესო უმთავრესათ ქვედა ტერასა დამისი ავანჩავანია. თუ არა ვცდები, აქ ბინადრობს და აქედან ხელმძღვანელობს ქიზიყის წინმსვლელობას ქანი თებრო.

პატარა მოედანი შუაზე ვადალობილია და სწორეთ ლობეს შიგნით არის, როგორც საცხოვრებელი, აგრეთვე კერძო სამლოცველო თებროსი. ეგ უკანასკნელი წარმოადგენს პატარა, ვიწრო ფიცრულ ოთახს, სწორეთ იმის მავარს, როგორსაც საავარაკო ადგილებში აკეთებენ სახლის შორიახლოს.

სამლოცველოში ჰყილია რამოდენიმე ხატი, წინ ვაშლილი აქვს სხვა და სხვა სანოვავე, უმთავრესათ ხილულობა.



თებრო მამიკაძე.

თებრო ახალგაზრდა, ლამაზი და ეშხიანი ქალია. ჩვენი სურათი,

ქვემარტივ გამომხატველია ორიგინალისა. მისი მიხერა-მოხერა, ლაპარაკი, გრძნული შემოხვევა აშკარა ჰყოფს მის დავირებულ ნიქსა და ცხოვრებაში გამოცდილებას. თებროს ტანთ თეთრი სამოსელი აცვია, რასაკვირველია, ნიშნად უმანკობისა.

საქიროა ვიზრუნოთ მომავალზედაც. კარგი იქნებოდა ჩვენი ქირისუფალი ვაზეთი „საქართველო“ აქაც გამოიჩენდეს ინიციატივასა და ენერჯიას.

ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ქანი თებრო არაფერს არა სჯამს, მე სხვას არ დაეუჯერებდი მის შესახებ ასეთ თქმას, მაგრამ ჩემი სა-

*) იმის შიშით, რომ წერილი ერთად ვრცელი გამოვა, ჩემს თავს ნებას ვაძლევ „კურატების“ შესახებ აქ არაფერი ვსტყვა და მათ ცალკე წერილი ვვუძღვ.

კუთარის ყურებით გავიგონე მის პატიოსან ბავთვან და მე შემოდოლა ცხადში ნათქვამი არ დავუჯერო მას, ვისაც მთელი ქიზიყი ხიზმრებხაც კი უჯერის! რასაკვირველია არ შემოდოლა არ დავიჯერო.

მართალია, აქაც არიან ისეთი ურწმუნონი, რომელნიც ამბობენ: თებრო მხოლოდ თეთრ ბულკებსა და ქათმის ხორცს სჯამს, სხვას არაფერსო, მაგრამ ამით ისინი ვერაფერს მოატყუებენ: ვინ არ იცის, რომ თეთრის პურითა და ქათმის ხორციტადამიანი ასე ვერასოდეს ვერ გასუქდება, როგორც ქ-ნი თებროა ხარცვესხული.

თებროა, რასაკვირველია, არც ღვინოსა სვამს, მით უმეტეს თუ ღვინო საუკეთესო ღირსებისა არ არის. ქიზიყელებს უხვად მოაქვთ ეგ შესაწირავი, მაგრამ თებრო ყველას როდი სცემს იმდენ პატივს, რომ მიიღოს მისგან „ღვთისადმი“ შენაწირი ძღვენი. მიიღებს მაშინ, თუ შესაწირავი უნაკლულო ღირსებისაა.

ვინ არ იცის, რომ როცა ქიზიყელები მთავარ-ანგელოზის ეკლესიას ქათმებს აუფერენენ, იმ ქათმების ღირსება-ნაკლულოვანებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ ქათამა თავისი მოვალეობა რიგია-ნათ ვერ შეასრულა, მაშინ ხომ განსაცდელი მოეღოს ქათმის შემფრენის ოჯახს, ან მის ავთმყოფს!

ანავის „მთავარ-ანგელოზი“ იმდენათ მთავარ-ანგელოზით როდია განთქმული, რამდენათაც ქ-ნი თებროთი და სხვა წარჩინებული მკითხავი ქალებით. სწორეთ ამით დამისახურა

ასეთი დიდ სახელი.

თითქმის ყოველ ღამე, განსაკუთრებით კი შემოდგომაზე, როცა დღესასწაული მთავარ-ანგელოზისა მოახლოვდება, ანავის პატარა ეკლესიას აურაცხელი მლოცველი და თებროს პატივისმცემელი ხალხი აწყდება. არის დღე, როცა ეკლესიის გალავანში რამოდენიმე ძროხა და მრავალი ცხვარი იკვლის. გალავანი გაიჩრადნებულა კოცონებით, რაზედაც იხარშება ხორცი მლოცველთათვის. ხალხი, რასაკვირველია, არც მასპინძელთა ინტერესს იგიწყებს: თავ-ფეხი, ბეჭი და ტყავი საქონლისა იმათთვის იწირება.

ანავის „მთავარ-ანგელოზის“ მკითხავები მართა ავთმყოფებს როდი ჰკურნავენ. მათი სამოღვაწეო სფერო უფრო ვრცელია. ისინი აწყურებენ ოჯახურ უთანხმოებას, შეყვარებულთა ბედს, ცოლ-მართა ვან ორების საქმეს და სხვა მრავალს.

ესტკვეთ ქ-ნი კეკე ჩიბორჯელსა ვერ შეეთვისა თავის სჯულიერ მუელღეს წავსაწყვეთავი ხომ შემთხვევის საქმე. კეკეს მოეწონა მეზობლის ბიტი ტუხა. ისინი იტანჯებიან, უცეცხლოთ იღაგებიან და ამ ტანჯვას ხომ უნდა მოეღოს ბოლო? რასაკვირველია, უნდა მოეღოს! და აი კეკე ნახულობს „მთავარ-ანგელოზის“ რომელიმე მკითხავს. მკითხავი ნახულობს ნიკა ჩიბორჯელსა და ურჩევს ცოლი თვისი გაგზავნოს ხატის წინაშე სალოცავით. ნიკაც უბამს ურემს და მიდის. კეკეს სტოვებს მთავარ-ანგელოზის ჭურ ქვეშ, თითონ კი ოჯახში ბრუნდება. იმავე მკითხავების დარიგებით ქვე იგზავნება სალოცავით მეზობლის ბიტი ტუხაც. ან კი რატომ მართა კეკე უნდა გაიგზავნოს იმ მიყრუებულსა და ყრუ უღაბურ მთის კუნძულში? ტუხაც ხომ დამნაშავეა.

როდესაც, ღამით, შემდგომად მორიგი ღიტი-ნიისა, მლოცველი ახალგაზრდობა მწვადებსა და კახურ ღვინოს მოუჯდება, ეკლესიის გალავანი მზიანულენისა და სიამოვნების ბუღეთ იქცევა ხოლმე. ღვინოს ქიზიყელები არა ზოგავენ და რასაკვირვალა არც ღვინო ზოგავს მათ. ისინი წყვილ-წყვილათ იფანტებიან ეკლესიის არეში და მყურრო ღამის მშვენიერებით სტკებიან. საზოგადოთ მლოცველები ღამის ფარდულეებში ათევენ. ფარდული მხოლოთ ზემოდან არის გადახურული, კედლები კი არა აქვს. იშვიათად გამოეჩევა ისეთი მორწმუნე და ღვთის-ნიერი გლეხკაცი, რომელსაც თებროს თავის ჭურ ქვეშ დაუთმობს ხოლმე—ბინას.

თითონ თებროს არასოდეს არა სძინავს. ეს მე პირდაპირ მისგან ვაგიგონე. არა თუ სძინავს, ღვი თავის ოთახშიც არასოდეს არ შედის. ზამთარ-ზაფხულ თებროს გარეთ უღდას ფიცრის ბავა და იქ ხელ აპყრობით ლოცულობს წმინდა ბარბარეს წინაშე ცოდვილი ქვეყნისათვის.



თებრო ვაჰიჩაღლი.

თებრო ქვრივია. მას ჰყოლია ღვთისნიერი მე-
ულლე, მაგრამ სიზმარი უნახავს და გარდაცვილია.
მას შემდეგ თებრო ანავის „მთავარ ანგელოზს“ შე-
მოჰკედლებია და მისი ძლიერება უმწვერალესობამდე
აუყვანია. ამ მაგალითით წაქეზებულნი, ახალგაზრდა
ქვრივები ახლაც უხვათ აწყდებიან თებროს სავანეს
და დაობლებულ ცხოვრებას აუარებელ მლოცველი-
თა სამსახურში ატარებენ. ესენი არიან „მთავარ-ან-
გელოზის“ სიამაყეთა მემკვიდრენი. როდესაც წმინ-
და ბარბარე თავისთან წაიყვანს თებროსა და მის
თანაშემწევებს, მაშინ აი ეს ახალგაზრდა ქვრივები
დიქტრენ მათ ადგილს.

სალამოთი, როცა მლოცველები მოგროვდებიან,
ერთი ქადაგთავანის წინამძღოლობით უფლიან ეკ-
ლესიას გარშემო. ქადაგი ორ ქალს, ან კაცს უჭი-
რავს ხელში. იისი სიარული ისეთ შთაბეჭდილებას
ახდენს, თითქო თითველ ნაბიჯს ზენაარსის შთავო-

ნებითა სდგამდეს. უცებ შესდგება. მექლივიით
თვალებს დააბეცებს, გასტერვებულად დროს
შიშითა ჰქრთის და პირჯვარს წინაშე უცებ
მოტრიალდება, კედელს დააცქერდება და რომელი-
მე შავ წერტილს ემთხვევა. ყველანი მის მაგალითს
ჰბაძვენ. ქადაგი ზოგჯერ წაიქცევა, ტირილი და
ბოლღა აფუარდება, ვაი მას ვისი სახელიც ბოლღაში
გამოერევა. ზოგიერთი დოქმული, მიწაზე პირქვე
ჩაემხოზა და ამდენი ხალხი ზედ გადაუფლის ხოლმე.

ძნელია ყველაფრის აწერა. ქიზიყის ინტელი-
გენციის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ მას ყო-
ველი ღონისძიება უხმარია, ეს ჩინებული ჩვეულება
განმტკიცებულებიო და განვითარებულებიო ხალხში.
„კაცია აღამიანში“ მეთხავთა შესახებ აწერილი
ცნობები მონაგონი არ არის ანავის მთავარ-ანგელო-
ზის მობინადრეთა მოქმედებისა. მე ვეჭვობ ხალხმა
დაუფასოს ქიზიყის ინტელიგენციის ეს გულმოადგი-
ნეობა ძველ ზნე-ჩვეულებათა დაცვაში.

ეშმაკი.

(დასასრული იქნება)

მ გ ზ ა ვ რ ი

ერთ გლეხ კაცს ეროხელ, საღამოს, სტუმრად.
(თქვენი მიხედვებით აქ მიზნებს, თუ რად),

კარზე მოაღდა ვიღაცა მგზავრი.

(ვინ იყო, ნუ გვაქვს ჩვენ იმის ჯავრი).

ის დაქანცული ფეხს ძლივს ადგამდა,

(წორეთ, შიტომაც აქ დაუღამდა),

და შეაეცელა ამ ჩვენს გლეხს თავი,

(გრძელი დარჩება მგონი იგავი).

გლები დაუხვდა სტუმარს ქველურათ,

(რადა თქმა უნდა, გლეხ-ქართველურათ),

მიართვა ვახშით მხალი სხვა და სხვა,

(ღვინოც ხელადით... ასეა და ასეა!)

ლობიოც ჰქონდა (მაროდ ნაკლები),

მწვადიც... მწვანილიც (იმისი მხლები!)

ასიამოვნა პურით და ღვინით

თანაც მიღებით, საწოლით, ბინით,

დააცლევინა დოქი და ქიქა,

ასეა-აჰმა, შეაქიქია.

და მოასვენა როგორც წესია,

(ეს ხომ ვახშაზე უკეთესია!)

მგზავრმა დალილიმა რა იგრძნო გვერდზე
 სქელი ლეიბი, რბილი საბანი,
 (საწოლი იყო სწორი და ვაკე,
 როგორც იტყვიან, გაიდებანი).
 გათენებამდის (რა აწუხებდა)
 გაბმული ხერხინვით უძახა ბანი...

დილა ადრიან წამოადგა მგზავრი,
 რა მოიკრიბა ძალი და ღონე,
 და გზას გაუღდა თურმე, მახვილი
 იგი ყნოსვისა და გემოს მქონე.
 განვლო მანძილი და შუადღისას,
 თუ ცოტა გვიან—მზე შუბის ტარზე
 რო უკუ იქცა, სწორედ რომ ამ დროს
 ისევ მოადგა ამ ჩვენს გლეხს კარზე.
 მასპინძელს უთხრა: —უბოძო არის
 შენი ამაგი ჩემზე, მარაო,
 ერთი რამ მძიმეთ მაწვეება გულზე
 და უნდა ვითხრა, ვერ დავფარაო.
 — წუხელ ღლიობს მართლი აქლდა
 და არ სთქვა ჩემზე—ვერ მიმხვდაჩაო;
 ავი კი მშვიდობით, მივეჩქარები,
 გასავლელი მაქვს გრძელი შარაო.

ჩემზეც ფიქრობენ: ვითომც ვერ ვხედავ,
 კეთილ, ან მრუდვ გზით ვინც იარა,
 და თუ რამე ჯერ კიდევ არ მითქვამს,
 იმას არ ნიშნავს, რომ ვიცი არა.

ბ. ბლიზნაძე.

დეკემბერი

სამტრედიანი. 5 გიორგობისთვის მოხდა ვაჭართა
 კრება. ადგილობრივ „სოციალისტ-ფედერალისტთა“
 ადგილობრივმა ორგანიზაციამ წამოაყენა „პროგრამა
 მინიმუმის“ პირველი მუხლი, სახელდობრ: ბოქაუ-
 ლისათვის ჯამაგირის მომატება. სამწუხაროთ, სამ-
 ტრედიელი ვაჭრები ამ „მუშლიონივილიური“ საქმი-
 სათვის მოუშხადებელნი აღმოჩნდნენ და წინადადებამ
 თქვენი ჭირი წაიღო.

სამაგიეროთ ჩინებულათ მიდის საქმე „პრო-
 გრამა მაქსიმუმის“ პირველი მუხლისა. „მამულიონივი-
 ლები“ ბ-ნი მახრის უფროსის დახმარებით ცდილო-

ბენ სამტრედიის მამასახლისის არჩევანს გაუქმებს
 და ხალხის მიერ არჩეული პირის მადგენარ თავისი
 კანდიდატის ჩაჩხირვას. მართლაც, საბანი ერთობ
 გამვირდა, მაგრამ ადგილობრივი „მამულიონივილები“
 მინც ოსტატურათ უძერებთან ფეხქვეშ სამტრედიის
 აღმინისტრაციას.

„სახალხო ვაზეთის“ რედაქციას ადგილობრივი
 წერა-კითხვის საზოგადოების კანტორის ვალი დაე-
 დვა. ამის გამო რედაქციამ ჩამოართვა ვანყოფილე-
 ბას ვაზეთის აგენტობა და კერძო პირს გადასცა.
 „შვირთმაც“ იქით შეუხვია. თუ იგო ოქროს სა-
 სახლეები, სწორეთ დღეს აიგებს ახალი აგენტი აღ-
 ნიშნული ვაზეთებისა. ცხადია „ეროვნული სოცია-
 ლისტები“ კერძო კაპიტალის გაძლიერებას ცდილო-
 ბენ საზოგადოებრივის სახარალოთ.

პროექტორი „რიფსა“ პატრონი, ბ-ნი აქსენ-
 ტი ნაქყებია უფრო პრაქტიკულ გზას დაადგა:
 „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, ტყუილათ
 ხომ არ ამბობს ქართული ანდაზა. ვილც უცხო
 კასირმა ქალს მიჰქონდა ფულები, თითქო საკუთა-
 რი ჯამი არა ჰქონადეს. ახლა უცხო ქალი დაი-
 თხოვა და ლუკმას საკუთარი მუელღვ შეუყენა.

ეროვნული სოციალისტი ნოე კალანდაძე ქა-
 დავათ დაეცა. ხონელ ცილისმწამებელთა აღსარებან
 მკითხაობის გუნებასე დააყენა: ქიზიყელ თებროსა-
 ვით ის უხსნის ხალხს ომის: გამო სასამართლოს არა
 სცალია, თორემ ხონელი რაინდები პ. გელეიშვილს
 ასე არ მოექცეოდნო.

მრი ეშვაკი

(სამტრედიისათვის).

- ახალი რა იცი, მეგობარო?
- ახალი, ბევრი არაფერი... აი, იმაზე... ისიღო-
 რგზე მოგახსენებენ...
- რაო? რა, ამაზეია?
- ამას წინად ვილც მავნე პირი და ისიღორე
 ერთად პრაექტორის წინ ტკბილათ საუბრობდენ
 ოცისთავების არჩევნებზე, კოპერატციის საქმებზე,

დასვლემის მოღვაწეობაზეო და სხვა... ამბობენ ისიღორე ძალზე აღელვებული იყოვო.

— ვინ უნდა ყოფილიყო, თუ საზოგადო მოღვაწე არა? ისიღორეს უბრალო პირებთან საუბარი არ უყვარს.

— დიხ, ამბობენ დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყოვო.

— შენ ხო არ გინახავს?

— არა, მე სხვებმა გადმომცეს. კოპერატივის საზოგადო კრებასაც დასწრებია იგი სტუმარი. ამბობენ ისიღორე თვითონაც არ იყო სტუმრის მაღლიერიო, მაგრამ...

— არა, გულყეთილი ისიღორე და მანვე სტუმარი—ამას მეც ვერ დავიჯერებ.

— თქვენს დაბაში დიდი ცვლილება მომხდარა, ძველი ბოქაული ხელის ქუჩისათვის გადაუყენებიათ, მაგრამ საინტერესოა თუ ვინ დანიშნეს.?

— ოჰ, მშაო, უქმად ჩაუარა შრომამ ჩვენს „მამულიშვილებს!“. ბევრი ქართველი კანდიდატი მოსძებნეს ამ საპატიო ადგილზე, შეაწუხეს სუფსა ნატანები, აფრინეს დედეგატები, ისიღორემ მთელი დამე ტელეფონის ახლო გაათენა თურმე, მაგრამ ვერას გახდენ. მაინც რუსი, — უცხო ტომის ბოქაული დანიშნეს. არა, ჩვენს დბას ბედი არ სწყალობს

— მერე როგორ დამოკიდებულობაში არიან ახალთან?

— რო ნახო, ასე იტყვი, ერთად თუ არ დაბადებულან ერთად მაინც გაზრდილანო.

— ასეთია ჩვენი ეროვნული ბურჯების ტაქტიკა. ჯერ ებრძვიან მოწინააღმდეგეს და თუ შეატყვის მარცხდებიან, მერე ცდილობენ ბრალი სხვას დასდონ — თითონ კი ფეჩქვეშ გაუწვნიან.

ალი.

მისტვირული

(ბალახანისათვის)

მრავალი ფირმა არის აქ და გამეკ აღაჯიანი*), შეშის ზურგს ბუხას ამოფრენი, ხელ მარდა აზრით გეიანი.

*) აღაჯი ანუ ჟოსი (გრძელდამკრამ არც ძლიერ მოსწო), ერთი ჰატეფემული გამგის აზრით უმბარია აარადაა მუშების ზურგზე ბუხების ასაფრენათ.

ლია.

როტა რომ უნაქე შექნას რა აქეს აქ მუშებს იხანია? ხელის ქავლას დატეხენ სიღის დაწინა შემც...

თუ კიდევ სხვისკენ აქეცა — მას აარადი შირანია, — (ჟერ თუმც დაქმალე, მაშინ კო გულს მომეცემა შირანია.)

ისეთი გრწნობათ შეგაქო მელავაძე მამქრად მზინან, რამ მუშაც ოხმი მოვადეს; მანუქოს აახანია...

დ.ბ.

მიწაში ვერ ჩაგვხვავი.

(არაჯი)

(მ. ნ.)

ერთ კაცს ყუდა ნოქარი, მეტაო ჰატეისინა, მაგრამ მამუა, როგორც ფურტურისტი მკასინა.

თუ რამ ეწეინებოდა, როტა, ფრწხილის ოდენს, მუქარას მოჭეუებოდა, არ იცოდა მოთმენს:

— თუ ეს ასე იქნება, წავალ, გაუქნეო, შემდეგ ბუეიან რომ მსდით ვეღარ დამეწეო.

დიდსან ითინა ჯამ, ბოლოს ვერ აიტანა, — დემრთმა მშეიდლოა მოგტეს, — უთხრა და დაატანა: — ერთხელ, ქართლის სოფელში, ჩამოვადე გურული, ჩაქურაში ჩამჯდარი, ბამალე წამოხურული.

ტახაზე შეხვდა გოგონა, ტან წერწეტი, ღამაზი;

...ქალთა გიმნაზიის მოხამსპურეთათვის
დახმარება ცხოვრების გაძვირებისა უნდა
მოხადოდნელი არ არის... (ქურ-გაზეთებიდან)



ღირეჭტორი. (მიმართავს მასწავლებლებსა და კლასის „ღამებს“) აი, ახლავ მობ-
რძანდება მათი აღმატებულება! ძლიერ მოხარული ვარ, რომ მიუხედავად ასეთი
სიძვირისა თქვენ მოახერხეთ და ასე ჩინებულათ მოიკაზმეთ ღღევანდელი ზედნიე-
რი დღისათვის.

ისე მოსრიალებდა,
როგორც კაი ვაგაზი.
მოეწონა და დიდხანს
სდია უკან ტრფიალით,
მოხიბლული, დამწვარი,
მის თვალთ უღვა-ციალით.
მგვრამ გოგო მიწურში
ჩაძვრა და მიიმაჯა.
გურული სხატა დაჩა...
შუბღს ოფლი მიიშურაჯა.

მიამასა: — კარგი ხარ
შენს ქუბას ვერ მოვეუება,
მგვრამ მიწაში მაინც
სწორეთ ვერ ჩამოგეუება!

ეს არაკი იმისთვის
გიახარ, ჩემო მობილო,
შენც იმას, არ მობასო,
მას არ დაქმობილო!

ჩახარუხაძე.



ღია წერილი

„თუ მოუვასმა მოუვარესა არა ჭკვიანობის:“

— როგორ ხაროო?

წახლა ბანა!

რადა დანა მათში სამეცობაროო“
სოლომონ ზურგიელიძე.

ბეკოს გაუმარჯოს!

ყმაწვილო, ერთი წერილი აგერ გუშხამ (1915 წლის გიორგობისთვეში) მოგწერე, მარა შენ ხშია არ გამეცო, პირში წყალი დეივებე (აბა ლენოს არ გააჩერებ ნუ გეწინია) და დამუწადი. კი ვიცი ათასი საქმე გაქ, იმეგრ აღგილას მსახურობ, რომ ჭვეყნის ხალხი ბუზივით უსვრის და ვერ მოიცილი, მარა შენზე ნაკლები ჭვეყნის კიცი არ იყო ცხონებული სოლომონი, აი ჩენი ზურაბა ზურგიელიძის ბიჭი. ახლა მთელი ჭვეყანა იმაზე ლაპარაკობს და ზოგ-ზოგი მართლაც იმეგერი დუუწერია იმ დასაცალებელს, რომ შიგ გულში მოგხვდება კაცს. მეც ამევიწერე ერთი კუმფხალი შენდა საყურადღებოთ. მართლა რაფა, ძმა კაცი და მოყვარე თუ შინაურნიზა არ ვარგა, სხვას რას გაუკეთებ? კაცო, შენს ამბავს ისე შეველი, რავარც მეგრეთ მოსვლას. ავია ახლა მომწერს რამეს, ახლა მაინც მომწერს მეთქი, ვუყურებ, და ქე შემოავიანდა.

ახლა ვიფიქრე: იქნება მენდური რამეს თქვა და თუ მართლა ასეთე გევიგოთ და ჩამუვდლოთ სეპარატნი ზავი. ყველაფერ უსტუბაზე წაშულ ოლონდ შენ მყავდე ზაპასში გაქივრების დროს ნუგეშო. ბოშო ბეკო, მარტო მე რაფა ვთხოვ შენს ყურადღებას, მთელი მეზობლები მეხეყნებენ: შენ სთხუე, ქაქი, და შენს გარდუვალს არ იზამს, მოგვეწერს და გვეტყვის, ცხოვრებაში ჩანედული კაციაო. კაი ღმერთმა მოგცეს ყველაფერი ეს კაია, მარა გაყრი, გაყრი ამ წერილებს რკოსავეთ და შენ თავსაც არ იფხან.

როვა, როდინდი უნდა ვინხუბოთ, კაცო? ერთი ქაკი ცენი მყავდა, მთელი იმედი იმაზე იყო ჩემი, და გევიხელოთ, აგერ გუშხამ, მობილიზაციაში გეწვიეს. ბოშო და, რაფა ქალები ავი არ მიყავნო?

„ეფერემ-ვერდის“ წიგნი „თლსთ“ ამოკაყულია დღემანდელი ჩენი ამბავი. ომი ექვს წელიწადს გაგრძელდება

ამასთან ჩამოვარდება შიშლილი და ქირიო. ყორიფელი გაძვირდება, ფარაკი გაიფუტებაო.

ამასწინათ ქიზიყს ვიყავი, ანაგის მთავარანგელოზში სალოცავით. ერთ იქაურ მარჩიელსაც ვარჩევი ჭვეყნის ამბავი და ბევრი მართალი მითხრა: „აი ჩხუბი იმის ბრალია, რომ თაყვენს ახალ-ახალ ხატებს ვსცემთ და ძველი კი დავივიწყეთო. თუ გვიწინდა ომი ვათავდეს, თითოეულმა ოჯახმა თითო ცხვარი მაინც უნდა შემოსწიროს ანაგის მთავარანგელოზში“.

შენი წერილი უფრო იმიზა მინდოდა, ეგებ მაქ იყოს ვინმე გამოჩენილი ჯადოქარი და გავგაგებო: რა მოგველის, რაფერი იქნება ჩენი დღეი და მოსწრება.

შენი ძმაი და მიხატურლო

ძაძიჩი ხნიჩინამაძე.

P. S. ძმაო ბეკო! აქეთ რაცხას ფუჭუნობენ, ვითომ ქორწილს აპირობდეთ მაგ შენს ქალაქში, ახლო. ხელი მოგიმართოს ღმერთმა. მაი ბაჭი ქე გყავს საცოლო და ბარემ ახლა თუ აღარ დააქორწილებ, მერე აღარც ეღირსება. მე გეწინია მაგას სალდათობა აღარ მოუწევს. მართალია ახლა უზრუნველი აღარავინ არ არის, მარა მაგას ბანქში ფულეში აქ შავი დღისთვის შემონახულია და თავს გამოიძვენს. ფილიმონ მოგასწენებს, —მრავალ ცულიანობის ზაკონი გამოდისო და რაფა საქმე? შენ თუ არ იცი აბა სხვას ვის ეცოდინება. ანუგეშე მაი ბიჭი, რომ თუ ერთი არ გამოდგა, მეორე და მესამე ქალი მონახოს. აბა შენ იცი, ბეკოს ქირიმე თუ ამ წერილის პასუხს მაინც არ დამიგვიანებს. მარკას და კარმენტს ქე ვღებ შით, შენ ოლონდ დასწერე ორი ღერი სიტყვა და ჩაავდე იაშვიკი.

ძაძიჩი.

მ მ რ ა ლ ა

წაბაძულობით ცხოველი,
რომელიც გახდა ფრთოსანი,
(როგორც მე, კოდოს მიბაძვით,
გაეხდი შარადის „გოხსანი“).
წინაპრები რომ დასტოვა,
ახლებმაც იუცხოვესო,
მიწაზე გავლა მოესპო,
ჰაერშიც დაითხოვესო.
ბნელეთში ცხოვრობს დასჯილი,
უთვისტომო და ეული,
(ჯიშის და გვარის მგომბელი
გამჩენისიგან წყეული).

ქართველთა ტომის ნიწყვეტი,
დროთა ბრუნვაში ძველათა
სჯული და ენა დაჰკარვა,
არავინ ყავდა მცველათა.
ესლა კი ვეპატრონებით
ჩვენ ეროვნული აზრითა,
(ჩამორჩენილი ხალხია
თავის კულტურა—ბაზრითა).

ისტორიული მდინარე,
ძლიერ დიდი და სწრაფია,
მგონი სამხრეთში გამოდის,
(ხელს მიშლის გეოგრაფია).

საგანი სამი სამთავე
არის სამ-სამი მარცვლი,
ჩვენ პირველები გვიჩიობა,
(არც ნისია გვაქს, არც ვალი).

შარადაც გამომცხვარია,
ვისაც შადა აქვს ჰამისა,
(უფრო იოლათ ის ასნისი,
ვინც გემო იცის ქრთამისა).
განუასზღვრელი ძალა აქვს
და ანადგურებს ყოველსა
ზღვა და ხმელეთი უპყრია
უმაქნო სისხლის მწოველსა.
გემს ღუბავს, ციხეს დაქტევს,

მტერს მისცემს ქალოქ-მბროცა,
(ღმერთიც სდევნის და კანონიც
თუმც ვერა მუადგურავს)
მას ისევ ხალხი თუ ნოსპობს
ხალხური სამართლითა,
რომელიც მე და ჩემს მკითხველს
გვინახავს ჩვენის თვლითა.

ბუტუნა.

გაგრუებული იმედაგი

(შიზაძვა.)

აქტიორ-სტატისტი „აუღაბარი“-სა
და ბუღეტრისტი „ზეირთელ“-თ ჟარისა
ნუნუას ტუბილად შექმნეოდნენ
და უბედობას არად ავღედნენ.
უცბათ სტატისტი წამოდაგა ფეხზე,
ხელი გადასვა ცხვირ კეხზე,
დრამატულათ დიროფინა,
მოძქეს ნათქაშა შეატუთინა.
სთქვა; ცოტათ ძნელი იყო ზირველში,
რდა თქმა უნდა, ეს დარჩეს ჩვენში,—
ასლა კი ვიგი მუდამ წინ წავად,
დიდების მთაზე ადვილათ ავად,
და შეხშიშვილი დიდათ ქებული
კუდში მომეკება დაწუნებულა.
მუდამ შემამეობს დამახთა ტაში
და ვიცურავებ თავი უფთ ზღვაში;
ბუღეტრისტმა კი გაწმინდა ზენსე,
(თუ შეეინიშნავთ სკიტრთ იმთ ეს ხნე),
დარასილურად ასწია თავი,
(იუთ რამ უცნო ის სანასავი)
და სთქვა; ცოტაც, ძმავე, და ქართველებში,
მთელს ჩვენს მწერლებში, ახლებ-ძველებში,
ქების გერგების მე მომართმევენ,
მეორე ავას მით დამარქმევენ.
უთფილი სტატისტი „აუღაბარი“-სა
და ბუღეტრისტი „ზეირთელ“-თ ჟარისა
ერთმანეთს სმინად ვედარ ხვლებოდნენ,
ნუნუას ვედარ შექმნეოდნენ.

გრატილი

ქვეყნის წერილი კვართან

(ბრძოლის ველზე მიწვრილი)

(ადრესი კონკრეტზე დაწერილი)

იზ ტიფლის ნა გერმანია,
მოი მუყუე ნა პოლოსუ,
ჩუღურეთსკი მიკიტანუ,
კუბეწუ დლინომუ ნოსუ.

პრამათ ხელში გადაეცეს
მოი პისმა ჩემსა მზესა,
სამ ძაფიან ჩემს პოლოსს,
სტარში მულრეგ აფიცურსა.

ჩემო ძვირფასო და ყოველ ეამს საგონებელო
კუკლა პოლოს! რასა იქ და როგორა ხარ? ქა, კა-
ცო, რამ ვადაგრია, ამ ბოლო დროს რევნოსტრობა
რომ დაგიწყია ვანა მე შენ ვილაატებ! უი, უწი-
ნამც დღე დაელიოს კეკელას! ვანა ეგრე მაქ მე
დაცული ნამუსი! როცა მთელი ჩუღურეთი იხრუ-
კებოდა ჩემთვის, მაშინ ყველას პირში ჩალა ვამო-
ვაფეშე შენის გულისთვის და ნეუყელი როცა სიბერ-
ისკენ მივარახებებ ეხლა ვილაატებ! რალა დროს
ჩემი გვერდზე კუდის ქანება! იწერები: „ქალაქში
ფუტურისტები გაჩენილიან და არ ვაგაბრიყონა“.
ადამიანო, ვანა მე ეგრე მიცნობ! არწყობა რომ
მინდოდეს ვანა ჰქვიანი ხალხი ცოტაა, რომ ვიყებ-
სა და ფუტურისტებს არ ვეარშიყო! ვაი, აფსუს კე-
კელ! ვაი, მები კი დავაყარე იმათ ფუტურო თავ-
ზე! ვეარშიყო და იმისთანა ქალაჩუნებს!.

არა, პოლოს, გენაცვალე,
ჩემო ბიკო, წვერებთხელა,
მთელი ქვეყნის ფუტურისტთი
შამოგეგლოს ერთად ყველა.
ახ, ნეტავი ერთი ვნახო,
ჩემო პოლოს, დღეა მოი,
პრიეთი, გენაცვალე,
ია ვსევდა ბუღმი ტვითი.

მოდი, მნახე, ნე რევნუი,
მოდი ერთი მაიკალე,
შენი საბან-ქვეშავები

გელოდება, გენაცვალე.
მოდი, ერთი გამახარე,
დაუბრძვევ ჩვენს მტრებს თვალთ,

გაღიკიდე ვეცაცურად
რუქო: ხანჯალ-დამსამსა
მე გავიგე თურმე გოღლი
ჩინ-მენდლებით მოგოქდაეს,
შენთან პრამათ ლაპარაკსა
დენერალიც ვეღარ ბედავს!

ერთი ვნახო შენი ჩინი,
ამდენი ვაქეს მართლა ვანა,
აქ კურდღლისა გეშინოდა,
მანდ რა ჰქენი მაგისთანა?!

დარავიო შოი პოლოს,
ჩემო საბაკ, ჩემო მელოვ,
ჩემო ბარან, ჩემო ყვაო,
ულვაშებავ და ცხვირგრძელავ;

გელოდები, ჩემო ბიკო,
შენთვის დამწვარ-დახრუკული,
ტებე ლუბლუ, ვარიტ კრუგომ:
კიშკი, ფილტვი, ჯიჯარ-გული.

ესლი პრიდოშ, ბიში პისმა,
რომ ჩავიცვა „კოლო-კოლო“,
შამხედლა და დიხრუკო,
აგერიოს თავი-ბოლო...

გონია.

სახუმარო რეპულიდან

4.

ფათერაკი, რომელიცა რომა მე შემემთხვა.

სულ ორი დღის ჩასული ვიყავი ქალაქ მს-ში,
რომ მეგობრებმა დიდის ამბით ვამაცნეს ერთი ამ-
ხანავი ქალი. ადამიანი გულკეთილი, ხელგაშლილი
და მდიდარი. სახლის კარები ყველასათვის ღია ჰქო-
ნდა, მისი სუფრის გარშემო ყოველთვის იშოვიდა
კაცი დასაჯდომ ადგილს, მის გარშემო უბრალოვება
და გულწრფელობა მეფობდა. ასე ვამაცნეს და შემ-
დღეში მეც დავრწმუნდი, რომ მართლაც ასე იყო.
მისმა ლაპარაკმა, მიმოხვრამ და ყოფა-ქცევამ
გაცნობისათნავე დამარწმუნა, რომ საქმე მქოდა
ფართო და ცოტათ თუ ბევრათ მაღალ საზოგადო-
ებაში მოტრიალედ ადამიანთან. ამ საზოგადოების
ეტიკეტი, ანუ ეგრეთ ხშიობილი „კარგი ტონი“ მას

პირდაპირ შესისხორცებული ჰქონდა და ვერასოდეს ვერ შეამჩნევდით რაიმე ხელოვნურ, ძალდატანებით მოძრაობას, მოუხეზავ მიმოხერას. ყველაფერი შეენოდა, ყველაფერი სიტყვა თუ მოქმედება კობტა და გრაციოზული იყო.

მიუხედავთ იმისა, რომ თქვენი უმოჩინოესი მონა დიდი ტეტია ვინმეა და ზევით ჩამოთვლილ თვისებებთან მას არაფერი საერთო არა აქვს, კიდევ მეტი, ამ თვისებათა გამოჩენისთვის დაუცინია და კიდევ უმაყნია, რომ ის ასე გამოწაყული არაა, რომ კულის ქიციანით და წელში გაბზნევით ვინმეს ხელი ჩამოართვას. დიას, მიუხედავთ ყველაფერ ამისა მე საშინლათ მომეწონა ახალ დაცნობილი ქალი და რაც ყველაზე უარესია, თითონაც აღმეძრა მასავით დარღმინდულათ მიმოხერის სურვილი.

— ბიჭოს, რა ცოდვა იქნება ვითომ მეც რომ ღამაზათ ავამოძრაო ჩემი სხეულითქო, — შეწუხებით ვკითხე ჩემ თავს და პასუხის მიღებამდე გადავწყვიტე, როგორც უნდა მოვექცეულიყავი.

ხელათ მოვიკრიფე გამბედაობა; დარღმინდულათ ავამოძრავე სხეული და შესაფერათ წელში მოხერის და ყურბუღის აქცევებით დაუწყე ახალ გაცნობილ ამხანაგ ქალს სმენა; ვეცადე თავის დროზე მეთქვა: „დიას, დიასი“, პარღონი, უკაცრავათი, მერსი და სხვა ამისთანები.

როგორც წამსვე დარწმუნდი, პირველი ჩემი ნაბიჯი შესანიშნავი შეიქნა: უდროვო დროს არაფერი არ მითქვამს, ულაგო ალაგას არ გამიღრეჯია, ნებართული რაიმე არ მიროტავს და რაც თავი და თავია, აშკარათ შევიტყვე, რომ სხეულის მოძრაობის დროს ერთგვარმა რითმმა იჩინა ჩემს არსებაში თავი: ხელების გაშლა-გამოშლა რაღაც ღამაზათ გამომიდიოდა, თავკისერსაც ღამაზათთან ვხრიდი. ფეხის ქუსლებზე კი ისე ვცურავდი, როგორც ახალგაზდა გუსარი, ხოლო რაც შეეხება ყველა ამ ნაწილობრივ მოქმედებათა არ მოღლულათ ამოძრაობას, ის ისე მოხდენილი იყო, რომ რომელიმე ბალეტმანს რა დავენახე, დარწმუნებული ვარ წინადადებას მომცემდა შესაფერი ადგილი მომეძებნა პლასტიურ ხელოვნების სასამასხუროთ.

— გასკდით დალკროზის მოწაფეებო გულზე, — ვფიქრობდი სიხარულით, — თქვენსავით არ გამოვიღია რითმის სკოლა, მარა აბა ერთი შეხედვით თქვენზე ნაკლებათ თუ მამოქმედებს ჩემი შინაგანი რითმათქო.

შევატყვე, რომ ამხანაგ ქალსაც თვალში დაუჯდა ჩემი რითმული მოძრაობები, ამან სულ ფრთები ამასხა.

— იცით რას გეტყვით, — მომპართ ახალ გაცნობილმა, — ამ საღამოს უთუოდ ვაზაშაზე უნდა გვეწვიოთ, ყველა ჩვენები მოვლენ, თქვენი გულისთვის განსაკუთრებული ელფერი უნდა მივსცე წვეთლებას.

წინადადება ერთობ სასიამოვნო იყო; უპირველეს ყოვლისა სასიამო იმიტომ, რომ მე შემქმლო ჩემი სხეულის რითმი კიდევ მეტათ გამომეზურებოდა, ჯენტლმენობაში გამომეცადა თავი და ვცდილიყავ შემებორცებათ ის თვისებანი, რომელნიც მე ასე მომეწონა ახალ დაცნობილ ქალში.

მთელი დღე პირდაპირ ვეკვილუტებოდი ჩემს თავს და ვინ იცის როგორ უმაღლიდი, რომ სრულიად მოულოდნელათ ასე მასახელა. გადავწყვიტე უთუოდ რაღაც არტისტიული ნიჭია ჩემს არსებაში თქო და გულის ფანქცლით დაფუწყე ცდა საღამოს მოახლოვებას.


კიდევაც დადგა სასურველი წამი.

გამოვეწყე ჩემი ფიქრით კობტათ; შეგებრტყემოვებებრტყე ჩემი ტომრისებულთ კოსტიუმი, შარვალი გავათოვე, მაგრამ ვერაფერის გზით ვერ გამოვიყვანე ის სწორი ხაზი, რომელიც გადანაკვეცა აჩდება და ზედ მუხლის კვირისტაგზე გადავიდის. საყვლო ახალი ვიყიდე, ქუსლებზე რეზინები დავიქედე, რომ მეტი სიმჩატე ეგრძნო, ფეხსაცმელი არ გამივქაქავს — ღამია და თანაც ვინ დამინახავს-თქო. დიასხბლისის ქალიშვილს „დუხი“ მოვპარე და ცხვირსახოცი ვავისურნედე, ქურდობა იმიტომ დამეჭირდა, რომ პირდაპირ თქმა მცხვენოდა: ის მიყურებდა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც სასტიკით დავსკინოდი ყოველ გვარ „ფნტიკლუშკებს“ და უცებ რა „დუხი“ მეთხოვა, — უთუოდ ქარაფშუტია: ჩათვლიდა. ოო, ვინ იცის რამდენჯერ ამავით მითქვამს მისთვის: მე პატრეს ვსცემ იმას, ვისაც ოფლის სუნი ასდის და არა „დუხის“-თქვა.

მოდი და ასეთმა „დუხინამ“ ახლა სურნელივანი სითხე თიხვთე!

მე უკვე მასპინძლის დერეფანში ვარ; დავადე სალოკი თითი ზარის ფოლაქს და ველი კარის გაღებას.

— მოძრანდით გეთაყვა, — კარის გაღებისთან ერთათ შემომცქრიალა მშვენიერათ მორთულმა ას-



ულმა და ლამაზათ სხეულის დახვრით რაღაც საღამოსებური მომოდინა.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო! არა ნაკლების კონტაობით ვუთხარი მეც რეზინებ ამოკრულ ქულლებზე ტანის ათამაშებით და შესაფერათ წელში განხვრით და მხრების გაწკაპარტებით ხელიც გაუწოდ.

— კირაკოზ კირაკოზიჩი გახლავართ,— თანაც ღიმილით ჩაეჭურჩულე ბანოვანს, რომელიც პირველათ თითქოს შეერთათ ჩემი ხელის გაწევით, მაგრამ უცებ გასწორდა, თამაშათ შემომხედა და თავზიანათ მიპასუხა:

— ანნა ფეოდოროვნა!

— ეს უთუოდ და იქნება ჩემი ნაცნობი ქალისა,— გავიფიქრე გულში და ძალიან დაუძაღლე ჩემს თავს, რომ ასე ლამაზად გავეცარი ამ ცქრიანთა გოგოს. მე ამ ფიქრში ვიყავი გვართული, რომ ანნა ფეოდოროვნა, თითქოს ცეკვაესო, სხეულის თამაშით მიუახლოვდა სასტუმროს კარებს და გრაციოზულათ ხელების ვაშლით „შემობრძახნით, ბატონოვო“. თავზე წითელ ლენტ დაბნეული და ხელებ ვაშლილი ანნა ამ წუთს ფრთებ ვაშლილ ანგელოზს შეეადარა და ის იყო შესაფერის ღიმილის მისაძღვრათ ვადავხედე, რომ ოთახიდან თითქმის ერთხმათ მომესმა:

— ოო, კირაკოზაც მოვიდა, კირაკოზი-ო. სრულიად მოულოდნელათ ჩემკენ მომართულმა სახეებმა პირველათ ლამის დამაბნია და ჩემებურათ დამიკარგა, როგორც შნოიანათ მომზაობის, ისე გასაგებათ ლაპარაკის უნარი, მაგრამ უცებ მომავიწყდა, თუ რა მშვენიერათ ვიქცეოდი დღეს და მაშინვე შესაფერის სითამაშით შეიარაღებულმა, ყველას დარღიმანდულათ შეესკინე და საერთო ღრინაცულში მეც ვავერიე.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ პირდაპირ საუბროვო იყო ჩემი მოქმედება: ხელი ისე ჩამოვართვი ყველას, რომ ერთხელაც არ შემეცილებია და საქმურათ არ ვამბოდგინა სხვისი თათი, ერთ სკამსაც კი არ წაებორკებივარ, არავისთვის ფეხზე ფეხი არ დამიდგამს, არავისთვის იდაყვი არ წამიკრავს, არც ერთ შუკვას არ დავტყუებვარ. მისალმების შემდგენლათ მიუახლოვდი სკამს, სრულიათ აუხრივინებლათ დავხვინე უკან და სრულიათ დაუჯგუზრებლათ დავჯექი ზედ. ამ დროს სურნელოვანი ცხვირ-

სახოცი ამოვიღე და კეთილ დიასახლისს ღიმილით თვალბში შევეუბრე, ცხვირის ტყუპების შევეუბრე-შამოვფუნე.

— როგორ მოგკითხვით ამხანაგო? შესაფერის სიღინჯით და თავის დაქანებით მივმართე დიასახლისს, რომლისაგანაც საწუგეშო პასუხი მივიღე თუ არა, მერე სხვა დამსწრეთ მივმართე.

გაბაღდა მუსაიფი, მეგობრული ბაასი. ვერ წარმოიდგენთ რამდენმა ენის თუ გუნების მახელობამ ირინა ჩემში უცებ თავი! სრულიად მოულოდნელათ ისე მოხდენილათ მოვეყვი ესა თუ ის ამბავი, რომ საერთო სიცილი გამოვიწვიე. პირველმა გამარჯვებამ მეორისკენ წამაპოტინებია ხელი, მეორემ მესამისკენ და სულ ათიოდე წუთის განმავლობაში თქვენი კირაკოზა მუსაიფის დედაბოძი შეიქნა. ყოველი ჩემი სიტყვა სიცილს იწვევდა, რაც უნდა სისულულე მეთქვა, ყველას ენა მახელობათ მიიჩნდა.


— ბიუოს, რა ყოფილა ეს ჩვენი კირაკოზაო,— იძახდნენ ჩემი ახლო ნაცნობები,— კაცო ასეთი მოლაპარაკე თუ იყავი, დღემდის სად იმალებოდო, მეუბნებოდენ.

მეც, რასაკვირველია, თავი მომქონდა, ხუმრობა საქმე იყო! სრულიად მოულოდნელათ შესანიშნავი მანერებიც გამოიჩინა და ენა-გონების სიმახვილეს. პირდაპირ აღტაცებაში ვიყავი, ყველას მოესწონდა, განსაკუთრებთ დიასახლისს, რომელმაც ვახშმის წინ ყველას გასაგონათ განაცხადა:

— ჩვენი კირაკოზ კირაკოზიჩი არისტოკრატიული დემოკრატი-აო.

დადგა ვახშობის დროც. საშინელის სიფრთხილით ვიქცევი: ვიქრობ ღვინო არ დავაქციო, სტოლს არ დავეჯახო, დანა-ჩანჯალი შესაფერათ ვიხმარო, პური ლამაზათ მოვეტეხო, საღვთეობი კობნათ მივიმარო ყანკარტოსთან, გულზე არაფერი დავიწვეთო და, რაც თავი და თავია, საქმელები წესრიგზე მოვიხიზოვო: ჯერ ერთნაირი, მერე მეორე და ასე ბოლომდით. თანაც ვცდილობ ბეგრი არ ჩახამბო უცებ. ყველაფერ ამისთვის შესაფერი ზომები მივიღე და, თავს არ ვიქებ, მშვენიერათაც ვასრულებდი ყველაფერს. მაგრამ უცებ კიდევ შემიჯდა მხარში ენა მახელობის ეშმაკი და დანა-ჩანჯლის დარაწყნებით ვანაცხადე:

— ამხანაგებო, გთხოვთ ყური დამიგდოთ! ყველამ სული განაბა და შემომქცერიან, დარწმუნებუ-



მოწოდება

„ეშმაკის მათრახის“ ცნობილმა თანამშრომელმა ბ-ნმა **მორიელმა** ს. შეილიშვილმა საქმე განიზრახა.

ის აპირებს: კრიტიკულათ განიხილოს

ჩვენი უკვდავი მგოსნის

სოლომონ ზურგვიელიძის

ნაწარმოებნი; კანცნოს იგი ფართე სანოგადოებას და ნათელჰეოს სუელიერი კავშირი დიდებულ ცხედარსა და თანამედროვე ქართველ მოკალმეთა შორის.

„კარათ მესმის, რა ძნელი საქმეც არის კრიტიკოსობა, — ბრძანებს ბ-ნი მორიელი, — შორს მჭურეტელობასა, განვითარებულ ენოსეასა და შეგებასთან ერთად, კრიტიკოსს ზინდისიც სჭირია. დღეს კი კრიტიკა თითოეული მკითხველის პირად შთაბეჭდილებას წარმოადგენს. ის გამოიხატება ან „მოეზით“, ან კიდევ „ფუბით“. მეც ვიტყვი ჩემს „შოშს“, ან ჩემს „ფუზს“, მაგრამ ვიტყვი ისეთი დიადი პიროვნების შესახებ, როგორც იყო შეუღარებელი მგოსანი სოლომონ ზურგვიელიძე“.

ხელი მოუძარტოს ძაღმან ჯოჯოხეთისამან!

ჩვენი რედაქცია ენერგიულათ მოუწოდებს ყველას, ნიჭიერსა და უნიკო ქართველ მწერლებს, მოაწოდონ ბატონ **მორიელს** ყოველგვარი ხელნაწერები ჩვენი საყვარელი მგოსნისა, ან მისი კერძო მიწერ-მოწერა; უნდა იცოდეთ, რომ თითოეული კულტეტი მისი ლექსისა უდრის 536 დესეტინა მიწას, როგორც სხარტულათ სთქვა ერთხელ სოლომონის სულიერიმა მემკვიდრემ გრიგოლ რობაქიძემ.

ნუ დაიშურებთ შრომას გაგულისათვის...

ფონტა

ბათუმელ არაგმახს. ვერ ერთი, რომ თქვენი ვანობა უნდა ვიცოდეთ და მეორე, თქვენი უნდა იცოდეთ რომ არავისთვის საინტერესო ის არ არის, თუ რომელი ღანწისთვის მღვდელი უბირება ბარცხანიდან ფერისში სარევიზიოთ გადასახლებას. არც ის გაქვთ ნახსენები,

თუ რას უნდა უყოს ეს რევიზიონის მომხრეობა, რომ ღანწისთვის ბინა № 33-ისთვის იყოს, ხეუნიან შეხედულებით სინამდვილეს არ მოგვს, რადგან ბინის უნებლო დაწვა შეუძლებელია, იტყვიან, — სოფარულმა დაწვა უნებლოდ, ბინის კი რა მოგახსენია. არც ის ვიცით რომელი სახლის ბინაზე ამბობთ ამიტომ ნურას უკატრვად რომ თქვენი წერილი უნებლოდ დაწვა, მოგვწერეთ დიანთ, კარგევით უფლებოვ და დაგებულეთ.

ბაქოს ქალაქის გამგეობამ წინადადება მიიტაცა მ. ა. ჯაბარის იკისროს შაჟური სახურისათო კომიტეტის ხელმძღვანელობა.



მ. ა. ჯაბარი. მიმზიდველი წინადადება: 12000 მანეთი წლიური ჯამაგირი სასურსათო საქმის ხელმძღვანელობისათვის, მხოლოდ ერთი დაბარკოლებათ... ვში-შობ კოწია თუმანოვა დამართოს ამის ნება...